

რელიგიის თავისუფლება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში

მცირე წინასტორია

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მართლმადიდებელ ქრისტიანებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქო მისი კანონიკური იურისდიქციის ქვეშ განიხილავს. ამ ფაქტს ფორმალურად არცერთი მართლმადიდებლური ეკლესია არ უარყოფს.

აფხაზები სრულ დამოუკიდებლობას ითხოვენ და ეკლესიაც დამოუკიდებელი წარმოუდგენიათ. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, „ოფიციალური“ ოსეთის სავარაუდო პოზიციაა, ალანიაში ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად გაერთიანება და რუსეთის ფედერაციაში ინტეგრირება, შესაბამისად, აქ არც ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიის დაფუძნების თუ „აღდგენის“ სურვილი აქვთ. როგორც პოლიტიკურ, ისე საეკლესიო სივრცეში, ოკუპირებული ტერიტორიების მმართველ ელიტებს თავისი მომავალი არც საქართველოს სახელმწიფოს და არც მასთან ასოცირებულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან კავშირში არ წარმოუდგენიათ. ასეთი დამოკიდებულების და რუსული გავლენების შედეგია, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას არ ჰყავს საეკლესიო მსახურები ცხინვალში და აფხაზეთში, ვერ განკარგავს კონფლიქტებამდე მის სარგებლობაში არსებულ ქონებას და რელიკვიებს, ვერ უწევს შესაბამის მხარდაჭერას იმ მრევლს, რომელიც საკუთარ თავს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან აიდენტიფიცირებს.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც აფხაზეთს, ისე სამხრეთ ოსეთს, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ცალმხრივად აღიარებული სახელმწიფო სუვერენიტეტი გააჩნიათ, ეკლესიური საკითხები ანალოგიური გზით არ გადაწყვეტილა. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია ფორმალურად და ოფიციალურად, არც ამ ტერიტორიებზე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისგან ცალკე არსებულ, სეპარატულ ეპარქიებს აღიარებს და არც საკუთარ წიაღში ინტეგრირებას ითხოვს. ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია ერთგვარი „ისტორიული სიმართლის“ საზომით ხელმძღვანელობს და დიდ პატივს სცემს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის იურისდიქციას ამ ტერიტორიებზე. მათი რელიგიური პოლიტიკა მეტ-ნაკლები ვარიაციებით მაინც სახელმწიფოს პოლიტიკას იმეორებს.

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი არასდროს მოიხსენიებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქს სრული ტიტულატურით და ტოვებს „ცხუმ-აფხაზეთის და ბიჭვინთის მიტროპოლიტის“ ტიტულს. ასევე, თანამშრომლობს და მხარდაჭერას უწევს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მომსახურე მართლმადიდებელ სასულიერო პირებს.

ზემოაღნიშნული ზეგავლენას ახდენს საქართველოს იმ მოქალაქეების უფლებრივ მდგომარეობაზე, ვინც თავს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან აიგივებს. სახეზეა კომპლექსური დისკრიმინაცია - რელიგიის და ეთნიკური კუთვნილების ნიშნებით.

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება საქართველოს სეცესიური კონფლიქტების ამ ასპექტზე და საკითხის აქტუალიზაცია დისკუსიისთვის.

ეთნიკური გამყოფები და გზა საკუთარი ეპარქიების მშენებლობისკენ

აფხაზეთის ტერიტორიაზე ავტოკეფალიური ეკლესიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით დე-ფაქტო პრეზიდენტის ასლან ბჟანიას სირიაში ვიზიტმა და ანტიოქიის პატრიარქ იოანე მეათესთან შეხვედრამ რელიგიის საკითხი რეგიონში აქტუალური გახადა.¹ საქართველოში ამ მიმართულებით შიშების გააქტიურება, პირველ რიგში, იმით აიხსნება, რომ აფხაზეთში ომის დასრულების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ფაქტობრივი იურისდიქცია ამ ტერიტორიაზე ვერ ხორციელდება, რაც ნიშნავს იმას, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი არცერთი მღვდელი და ბერ-მონაზონი იქ საეკლესიო მსახურებას ვერ ეწევა. შესაბამისად, როგორც საეკლესიო, ისე პოლიტიკურ წრეებში, წარმოიქმნება ვნებათაღელვა, ხომ არ ახლოვდება აფხაზეთის ეკლესიის საქართველოს ეკლესიისგან გამოყოფის დრო.

ბოლო პერიოდში, აშკარაა, რომ საქართველოს ეკლესიის წუხილს რუსული ეკლესია არ ითვალისწინებს. უფრო მეტიც, როდესაც 2021 წლის იანვარში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელმა მეუფე გერასიმემ ცხინვალის ყოვლადწმინდა სამების ტაძარში რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი მღვდელმსახურის მიერ საშობაო წირვა გააპროტესტა, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს სამდივნოსგან ორ ეკლესიას შორის ურთიერთობების დაძაბვის პროვოცირების ბრალდება მოჰყვა.² როგორც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტისთვის ცნობილია, ამ საკითხის განხილვა არ გაგრძელებულა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ურთიერთობების გამწვავებას ერიდება.

საქართველოს პოლიტიკურ და ფართო საზოგადოებრივ წრეებში ამ შიშებს სრულიად მართებულად, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ფაქტორი შობს. მის ღვთისმსახურებს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქმიანობის შესაძლებლობა აქვთ და მაიკოპის ეპარქიიდან იმართებიან. სწორედ, ამ რუსული საეპისკოპოსო კათედრის წყალობით 2005 წელს შეიქმნა აფხაზეთის საეკლესიო საბჭო, რომელმაც მანამდე ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი ბერ-მონაზვნები ბესარიონ აპლია და ანდრია ამპარი შეარიგა, რომლებიც ამის შემდეგ ამ საბჭოს თანაბარუფლებიანი თანათავმჯდომარეები არიან. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობს კიდევ ერთი დაჯგუფება არქიმანდრიტ დოროთეი დბარის მეთაურობით, რომელიც აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის სახელით გამოდის და აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიას ითხოვს. ეს ჯგუფი ასევე დაპირისპირებულია ზემოთ აღნიშნულ პირებთან, თუმცა არა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც აფხაზეთის ტერიტორიაზე ავტონომიური საეკლესიო სტრუქტურის ჩამოყალიბების პრობლემა შეიძლება უფრო მეტ მგრძობელობას იწვევდეს,

¹რადიო თავისუფლება, 2021, „აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სირიაში: შეხვედრა დიქტატორთან და ანტიოქიის პატრიარქთან“ ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/31263525.html>, ნანახია 14.06.2021

²პასუხის პასუხი - რუსეთის საპატრიარქო იმუქრება. მთავარი არხი. 19/01/2021. მოძიებულია 3/06/2021 ბმულზე <https://mtavari.tv/news/29473-pasukhis-pasukhi-rusetis-sapatriarko-imukreba>

როგორც ჩანს, ქონებრივი საკითხებია. განსხვავებით სამხრეთ ოსეთისგან, აფხაზეთში მდებარეობს ახალი ათონის მონასტერი, რომლის მიმართ რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს ინტერესი. ამ მონასტერს ამჟამად დოროთეი დბარის აფხაზეთის ეკლესიის წმინდა მიტროპოლია ფლობს, თუმცა რუს მღვდელმსახურებს და რუსული ეკლესიის მიმართ ლოიალურად განწყობილ ბესარიონ აპლიას ეპარქიას გარკვეული ხელმისაწვდომობა ასევე აქვს მასზე. რუსული სამღვდელოება აფხაზ სამღვდელოებასთან ერთად ასევე ინაწილებს სხვა ეკლესია-მონასტრებს და ხელი მიუწვდება რელიგიურ რელიკვიებზე.³

აღსანიშნია, რომ სამხრეთ ოსეთში სიტუაცია სხვაგვარადაა. რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას დაქვემდებარებული სამღვდელოება აქაურ საკულტო ნაგებობებს არ ფლობს და რამდენიმე მნიშვნელოვან ცენტრში, უპირველეს ყოვლისა, ცხინვალში არიან წარმოდგენილები. ამის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ისიც, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორია კონფლიქტის ცხელი ფაზის დასრულების შემდეგ გაცილებით უფრო გაუკაცრიელდა, ვიდრე აფხაზეთის. შესაბამისად, მრევლიც გაფანტული და ერთგვარად გამოხშირულია. კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რაც სამხრეთ ოსეთში რელიგიური ინსტიტუტების მოქმედებას შეეხება, ესაა რელიკვიების ოსური ძირების ძიება და მტკიცება (პრინციპში, ისევე, როგორც აფხაზეთში). ეს ცხადია სწორედ იმ ნაციონალისტურ დისკურსში ჯდება, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების რელიგიურ ასპექტს ერის ქმნის იდეოლოგიურ სამსახურში აყენებს. სწორედ ამ ხაზში ჯდება სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნა, ცხინვალს ოქონის მეათე საუკუნის ხატი გადაეცეს⁴ და იკორთის ტაძრიდან დიდმოწამე ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავების და ბიძინა ჩოლოყაშვილის ნაწილების რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიაში გამოცხადების დედათა მონასტერში იმ მოტივით გადასვენება, რომ ისინი ოსი წმინდანები არიან.⁵ ეს უკანასკნელი ფაქტი იმითაა საინტერესო, რომ ეს რელიკვიები ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის კი არა, ზოგადად ოსეთისთვის ანუ ალანისთვისაა მნიშვნელოვანი, მისი ქრისტიანული და რელიგიური ხასიათის გამოსაკვეთად და ნაციონალისტური მუხტის მობილიზებისთვის.

აღნიშნული განვითარებები ხელს უწყობს რელიგიური გამყოფების გაღრმავებას და მათ მზარდ ეთნიზაციას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ქართველ მორწმუნეებს არ აქვთ შესაძლებლობა თავიანთ სასურველ ენაზე, თავისი ეკლესიის მსახურებისგან და თავიანთ ტრადიციულ საკულტო ნაგებობებში მოახერხონ თავიანთი რწმენის და კულტურული უფლებების რეალიზება.

³აფხაზეთის ეპარქიაში მოქმედი ეკლესია-მონასტრები (რუსულად). მოძიებულია 03/06/2021 ბმულზე <https://www.abkhazia.ru/history/activetemples/>

⁴ოქონის ხატი - სადავო საკითხი და ისტორიული ცნობები. რადიო მოზაიკა 23/06/2018. მოძიებულია 05/06/2021 ბმულზე <https://radiomosaic.ge/index.php/news/1501-2018-06-23-10-38-25>

⁵წმინდა წამებულთა შალვა და ელიზბარ ქსანელების ნაწილები (რუსულად). ალანის მაცხოვრის გამოცხადების დედათა მონასტრის ვებგვერდი. მოძიებულია 05/06/2021 ბმულზე <http://alanmon.ru/nash-monastyr/svyatyani/moshchi-svyatykh-ksanskikh-muchenikov-bidziny-shalvy-i-elizbara>

დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, ქართველი სასულიერო პირების რაოდენობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უკიდურესად მცირეა.

სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რამდენიმე სასულიერო პირი მოღვაწეობს: ახალგორში ერთი ქართველი სასულიერო პირი; იკოთის დედათა მონასტერში ორი მონაზონი; ერთი მორჩილი ცხოვრობს ლარგვისში და ერთი ბერი სამების მონასტერში.

ქართველი სასულიერო პირების შევიწროების ფაქტები ბოლო პერიოდში არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტ ისაიას შემთხვევას,⁶ რომელსაც 2014 წელიდან, დაახლოებით სამი წლის განმავლობაში, არ ჰქონდა ახალგორის დატოვების შესაძლებლობა. მოგვიანებით, ეს პრობლემა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ პირადად რუსეთის პატრიარქთან მოაგვარა. ამჟამად მიტროპოლიტი ისაია შიდა ქართლში, სოფელ ნიქოზშია, მოსაბრუნის საკონტროლო-გამშვები პუნქტის ჩაკეტვის დროს ახალგორში არ იმყოფებოდა და როგორც ყველა დანარჩენს, მანაც ვერ შეძლო ახალგორში დაბრუნება.

ახალგორში ქართული ეკლესიის გარდა, ფუნქციონირებს ოსური ეკლესიაც, რომელიც ალანის ეპარქიას ექვემდებარება. ოსურ ეკლესიაში წირვები ოსურ ენაზე ტარდება, მაგრამ ძალიან იშვიათად (წელიწადში მაქსიმუმ სამჯერ), როდესაც ჩრდილოეთ ოსეთიდან ეთნიკურად ოსი მღვდლები ჩამოდიან. რაც ძირითადად იმ შემთხვევაში ხდება, თუ ეთნიკურად ოსს ამ ეკლესიაში უნდა ნათლობის რიტუალის ჩატარება. ახალგორში რუსი სასულიერო პირები არ არიან. ახალგორში ოსური ეკლესიის აშენებამდე, ცხინვალიდან ჩამოსული ოსებიც ქართულ ტაძარში დადიოდნენ, მათ შორის, ნაციონალისტურად განწყობილებიც, რომლებსაც ქართულ ენაზე ჩატარებული წირვა-ლოცვა დიდი ალბათობით არ მოსწონდათ, მაგრამ პროტესტსაც არ გამოხატავდნენ.

ცხინვალში მოქმედ რუსული ეკლესიაში, სადაც რუსი მღვდლები არიან, წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე ტარდება. ამ ეკლესიას და ე.წ. ოსურ ეკლესიას შორის დამაბული ურთიერთობაა, შეიძლება ითქვას, კონფლიქტიც. დე ფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი ცალსახად რუსულ ეკლესიას უჭერს მხარს, დღესასწაულებზე ყოველთვის რუსულ ეკლესიას სტუმრობს თვითონაც და მისი მომხრეების უმეტესობაც. 2018 წელს, ალანის ეპარქიის ეპისკოპოს ამბროსის, რომელიც დროებით რუსეთში იყო წასული, ცხინვალში დაბრუნების უფლება აღარ მისცეს, სამხრეთ ოსეთის „მოქალაქეობა“ ჩამოართვეს და დღემდე არ აქვს შესაძლებლობა, ცხინვალში დაბრუნდეს.

მართლმადიდებელი ქრისტიანების გარდა, ახალგორში არიან იეჰოვას მოწმეები და ორმოცდაათიანელები, რომლებიც ახლა თავისუფლად ატარებენ შეკრებებს, ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე, თუმცა დაახლოებით ოთხი წლის წინ მათ ავიწროებდნენ, ე.წ. კგბ-ში იბარებდნენ და შეკრებას უკრძალავდნენ. იეჰოვას მოწმეების მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებაა ცხინვალში.

⁶Newpost, 2014, მეუფე ისაია ოკუპირებული ტერიტორიიდან გამოსვლას რამდენიმე თვეა ვერ ახერხებს, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3wj9Wc2>, ნანახია 11.06.2021,

პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები და დათქმები გავლენა არ მოუხდენია ცხინვალის რეგიონის რელიგიურ დაწესებულებებზე, სადაც ჩვეულებრივ, ძველებურად აღევლინება წირვა-ლოცვა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, გალში ამჟამად ეთნიკურად ქართველი მღვდლები არ მოღვაწეობენ, წარსულში მღვდელმსახურებას ეწეოდა მამა პიმენი (რომან ქარდავა), რომელსაც მოგვიანებით, აფხაზურმა მხარემ სასულიერო მოღვაწეობა აუკრძალა. მამა პიმენი 2008 წლის აპრილში აფხაზური ე.წ. სპეცსამსახურების თანამშრომლებმა გალიდან გამოაძევეს. გამოძევების წინა დამეს ის აფხაზეთის სამხედრო დაზვერვის სწრაფი რეაგირების განყოფილების ხელმძღვანელმა მიხეილ ხიშბამ გალში, საკუთარ სახლში დააკავა, მანამდე კი, ლოცვის დროს, ქართულ ეკლესიაში ათამდე შეიარაღებულმა პირმა მამა პიმენს მრევლის წინაშე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და ეკლესიიდან გამოაძევა. საბოლოოდ იგი ძალის გამოყენებით სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე გადმოიყვანეს.⁷

ამჟამად, გალში მდებარე მოქმედ ეკლესიებში (ხუთი მოქმედი ეკლესიის გარდა, ერთი ამჟამად შენდება სოფელ ოტობაიაში) მღვდელმსახურებას ატარებს მამა მათე, რომელიც აფხაზური წარმოშობისაა და მიუხედავად სოხუმიდან ზეწოლისა, წირვებს ატარებს ორ ენაზე - ქართულად და რუსულად. ამჟამად წირვა-ლოცვა ერთ კვირას ტარდება ქართულად, მეორე კვირას - რუსულად და დიდი დღესასწაულების დროს ორივე ენაზე ერთდროულად. გალში არსებული რამდენიმე ტაძარი, რომლებიც ავარიულ მდგომარეობაშია, არ ფუნქციონირებს.

იმ სოფლებში, რომელიც რეალურად გალის რაიონის ნაწილია, მაგრამ დე ფაქტო მთავრობამ წლების წინ ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონებს მიაკუთვნა, სასულიერო პირები ჩაჰყავთ და ისე ტარდება წირვა-ლოცვა. ზოგადად აფხაზეთში ბევრი რუსული წარმოშობის მღვდელია. რაც შეეხება ქართულ ეკლესიას ის პრაქტიკულად არ არის წარმოდგენილი ადგილზე, თუ არ ჩავთვლით სასულიერო ლიტურატურას და ლოცვანებს, რომლებიც სტიქაროსნებს ზუგდიდიდან შეაქვთ.

აფხაზ მუსლიმებს რელიგიის თავისუფლების მხრივ არანაირი შეზღუდვები არ აქვთ. მეტიც, სახელმწიფო დონეზე აღნიშნავს დე-ფაქტო ხელისუფლება მათ დიდ დღესასწაულებს. მაგალითად, ყურბან ბაირამის დღეები ოფიციალურად დასვენების დღეებია. რელიგიური თავისუფლების უფლების რეალიზების მხრივ, დისკრიმინირებული მხოლოდ ეთნიკურად ქართველი მრევლია, რომელიც თავი თავს მართლმადიდებელ ქართულ ეკლესიასთან აიდენტიფიცირებს.

აფხაზეთში წირვების მიმდინარეობისას, სასულიერო პირები მოიხსენიებენ ყველა მართლმადიდებელ პატრიარქს, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის გარდა.

⁷ რადიო თავისუფლება, 2008, „საქართველოს მხარე კიდევ ერთხელ საუბრობს აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის გადახედვის აუცილებლობაზე...“, ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/1557253.html>, ნანახია 11.06.2021

შეჯამება და რეკომენდაციები

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ მართალია ეკლესიებს შორის ურთიერთობა ცდება საქართველოს მთავრობის კომპეტენციებს, თუმცა, ამ საკითხის უფლებრივი განზომილება და საქართველოს მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დაცვა სწორედ მის მიერაა უზრუნველსაყოფი. საქართველოს მთავრობამ ყველა საერთაშორისო ფორმატი უნდა გამოიყენოს ამ პრობლემების დასარეგულირებლად ისე, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები თითოეული მოქალაქის რელიგიის თავისუფლება, თანაბრად იყოს დაცული და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ მათ, ვინც წლების განმავლობაში დისკრიმინაციის ქვეშ განაგრძობენ ცხოვრებას და სრულად ვერ ახდენენ საკუთარი უფლებების რეალიზებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არ შეიზღუდოს ეთნიკური და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისადმი კუთვნილების ნიშნით მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარების და სასურველი ეკლესიის მსახურების მიღების უფლება, რაც ამჟამად უგულვებელყოფილია და გამორიცხავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურების წვდომას მრევლთან და იმ ქონებასთან, რაც უწინ მას ეკუთვნოდა.

ასევე, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში დარჩენილი საეკლესიო ქონების და ინფრასტრუქტურის მართვისას არ უნდა მოხდეს იქ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის რელიგიის თავისუფლების და გამოხატვის უფლების შეზღუდვა საკულტო შენობებთან თუ რელიგიურ სიწმინდეებთან ხელმისაწვდომობის სრული ან ნაწილობრივი აკრძალვის სახით.